

# მაყვალე

## კულტურის ზოგადი დახასიათება

ლათინური დასახელება  
 ბოტანიკური ოჯახი  
 სიცოცხლის ხანგრძლივობა  
 ნიადაგის არეს ოპტიმალური რეაქცია pH  
 სასურველი წინამორბედი კულტურა  
 არასასურველი წინამორბედი კულტურა

Rubus fruticosus  
 Rosaceae  
 მრავალწლიანი  
 6-7  
 ტექნ, კულტურები, მარცვლეული  
 პარკოსანი მცენარეები



## აპრობირებული და პერსპექტიული ჯიშები

ნავაჰო	საშუალო საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიში, იძლევა მსხვილ, მკვრივ კენკრას შესანიშნავი არომატით.
აპაჩე	საშუალო საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიში, იძლევა მაღალი ხარისხის, მსხვილ, ტკბილ კენკრას.
ნატჩეზი	საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიში, იძლევა გემრიელ, სტაბილურად მაღალხარისხოვან, მსხვილ, ტკბილ კენკრას.
ჩესტერი	მაღალმოსავლიანი, საგვიანო პერიოდის სიმწიფის ჯიში, მკვრივი ნაკლებად ტკბილი, ყინვაგამძლე, ტრანსპორტირებადი ნაყოფით.
შავი სატინი	საშუალო საადრეო პერიოდის სიმწიფის მაღალმოსავლიანი ჯიში, იძლევა მსხვილ, მკვრივ, ტკბილ ხილს.
ჰუაჩიტა	მაღალმოსავლიანი, საშუალო პერიოდის სიმწიფის, ძლიერ მოზარდი, უეკლო ჯიში, დიდი, მიმზიდველი კენკრით.
ჰული	უეკლო ჯიში, აქვს მსხვილი, მკვრივი, არომატული, ტკბილი ნაყოფი.
თორნლი	მაღალმოსავლიანი, საგვიანო პერიოდის სიმწიფის ჯიში, საშუალო, პრიალა შავი არომატიანი კენკრათი.
ტრიპლ ქრაუნ	ადაპტირებული უეკლო, მაღალმოსავლიანი ჯიში, კარგი არომატით.
ლოხნესი	საადრეო, პროდუქტიული უეკლო ჯიში შესანიშნავი გემოთი. იძლევა პრიალა, მიმზიდველ, არომატულ, ტკბილ კენკრას.
პრაიმ-არკ 45 როუბენ	იძლევა მაღალი ხარისხის ნაყოფს, აქვს ხანგრძლივი მოსავლიანობის პერიოდი.

## საბაზისო აგროკალენდარი

აგროლონისძიება	თვე
საშემოდგომო ხვნა	X
ნიადაგის გაფხვიერება	III-VIII
დარგვა	III-IV
გასხვლა	II-IV; XI
განოყიერება	III-V-VI-VII
მორწყვა	სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში
ქიმიური დაცვა	II-III; IV-IX
მოსავლის აღება	VII-IX

## ნიადაგის დამუშავების სისტემა

ნაკვეთი უნდა დამუშავდეს 30 სმ-ის სიღრმეზე, საჭიროა კარგი დრენაჟი, აუცილებლობის შემთხვევაში pH-ის შეცვლა, საკვები ნივთიერებების, ორგანული სასუქების შეტანა, სარეველებთან ბრძოლა, ნაკვეთის ნარჩენებისგან განმეხდა. ნიადაგის ძირითადი დამუშავებაა სამემოდგომო ხვნა ოქტომბერში. ნაყოფის დამნიფებამდე ტარდება ნიადაგის 2-3-ჯერ გაფხვიერება რიგთაშორისების შუა ნაწილში 8-10სმ, მცენარის ახლოს 6-7სმ. სიღრმეზე. ძლიერი გამკვრივების შემთხვევაში ნიადაგი მოსავლის ალების შემდეგ მსუბუქად კულტივირდება.

## დარგვა (ვადა, ნორმა, განლაგება)

ნაკვეთის მომზადების და ნიადაგში საჭირო დანამატების შეტანის შემდეგ ეწყობა 25 სმ-ის სიმაღლის და 75 სმ. სიგანის რიგები ან კვლები. რიგებს შორის მანძილი განსხვავებულია ნერგის ტიპის, ფორმირების მეთოდების და ტექნიკის გაბარიტიდან გამომდინარე. ნახევრად ამართული მაცვლის ჯიშებს შორის დისტანცია რიგში 1.2-1.8 მ-ია, ხვიარა მაცვლის ჯიშებს შორის – 2.4 მ.

## ნიადაგის განოციერების და მცენარის კვების სისტემა

ორგანული	10-20 ტ/ჰა	უშუალოდ გასხვლის შემდეგ
ფრინველის ნაკელი	5-10 ტ/ჰა	
აზოტი	35 კგ/ჰა	ზრდის პირველ წელს
	75-90 კგ/ჰა	ორწლიანზე
ფოსფორი	25-30 კგ/ჰა	პირველი - აპრილი, მეორე - მაისი, ივნისი, მესამე - ივლისი
კალიუმი	50-60 კგ/ჰა	

## მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემა

მნიშვნელოვანია მაცვლის სარეველების აღმოფხვრა, ხელით ამოგლეჯით ან თოხით, სარეველების კონტროლი ჰერბიციდის გამოყენებით, მცენარის გარშემო მულჩის გამოყენება, ინვაზირებული ღეროების ამოჭრა და მოცილება, მინერალური ზეთებით დამუშავება, ნებოვანი მახეების განლაგება, ბუნებრივი მტრების გამოყენება.

მავნე ობიექტები	რეკომენდირებული მომქმედი ნივთიერება
დაავადებები	მეფენოქსამი, პირაქლოსტრობინი, კალციუმის პოლისულფიდი, პროპიკონაზოლი, ტრიადიმეფონი, ფენჰექსამიდი
მავნებლები	ბიფეტრინი, აცეტამიპრიდი, იმიდაკლოპრიდი, თიამეთოქსამი, ფენპროპატრინი, ტებუფენოზიდი

## კულტურის ტენით უზრუნველყოფის სისტემა

მაცვლის რწყვა ხდება წინა ირიგაციიდან 5-10 დღეში, ნიადაგის ტიპის და წვიმის ფაქტორის მიხედვით. სასურველი მეთოდია წვეთოვანი სისტემით მორწყვა კომპენსირებული დრეკადი მილებით მთიანი ადგილებისთვის და არაკომპენსირებული დრეკადი მილებით ვაკეზე გაშენებული ნაკვეთებისთვის. მაცვლისთვის საჭიროა 25-38 მმ. წყალი კვირაში წვიმის ან მორწყვის სახით, აყვავილებიდან მოსავლის ალების დასრულებამდე. სათბურებში მოყვანილ მაცვალს ესაჭიროება მეტი წყალი, ვიდრე ღია გრუნტში გაშენებულს.

## სხვა მოვლითი სამუშაოები

- 3-4-მავთულიანი საყრდენი სისტემის მოწყობა.
- გასხვლა, ნიადაგის ზედაპირიდან 25-30 სმ. სიმაღლეზე. ამართულღეროიან ჯიშებს ვუტოვებთ 3-4, გართხმულღეროიან ჯიშებს 5-7 ყლორტს.
- მოსავლის ალების შემდეგ ტოტებს ძირში გადავჭრით, ამონაყარს საყრდენებზე ავაკრავთ.
- გართხმულღეროიანი მაცვლის ჯიშებისთვის უნდა გავაკეთოთ შპალერი.

## მოსავლის აღება და პირველადი დამუშავება

მაცვალი იკრიფება, როდესაც ხილი მთლიანად შავია, დღის ყველაზე გრილ პერიოდში. მოკრეფილ მაცვალს ფრთხილად აწყობენ კონტეინერში. გავსების შემდეგ ყუთები გადააქვთ დასაფასოებელ პუნქტში, აფასოებენ და საცავ-მაცივარში ან ბაზარზე გააქვთ. ხილი უნდა გაცივდეს დაკრეფიდან ძალიან სწრაფად, რაც ითვალისწინებს რბილობის ტემპერატურის დაყვანას 0-1°C-მდე.

## შენახვის ოპტიმალური პირობები

შენახვის ოპტიმალური ტენიანობა	85-90%
შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა	0-5°C
შენახვის ვადა	2-14 დღე